მეხსიერების პოლიტიკის როლი ეთნიკური კონფლიქტის ინიცირებისას

(აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების მაგალითზე)

ლიკა ბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლიკა ბერიძე

15.06.2023.

მადლობა

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის წარმომადგენლებს, ასევე თითოეულ იმ ადამიანს, ვინც დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, დამთანხმდა ინტერვიუზე და მომაწოდა საინტერესო ინფორმაცია.

განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელს, ნინო ფავლენიშვილს, რომელიც კვლევის პროცესში გამუდმებით მიწევდა დახმარებას, მაძლევდა რეკომენდაციებსა და კრიტიკულ შენიშვნებს, რომლებმაც ჩემი კვლევა მეტად საინტერესო და ღირებული გახადა.

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს მეხსიერების პოლიტიკის, რომელშიც კოლექტიურ მეხსიერებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როლს აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის ეთნიკური კონფლიქტების ინიცირების პროცესში. კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა და შეგვედარებინა ის მოვლენები, რომლებიც ერთ რეგიონში თითქმის ერთდროულად, დიდი ალბათობით, მსგავსი მახასიათებლებით მიმდინარეობდა.

კვლევა ატარებს დედუქციურ ხასიათს, რადგან ნაშრომის ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, კოლექტიური მეხსიერება ეფექტური ინსტრუმენტია პოლიტიკური ელიტის ხელში, ეთნიკური კონფლიქტების ინიცირებისა თუ გაგრძელებისთვის, ამოსულია პრიმორდიალური, კონსტრუქტივისტული და ინსტრუმენტალური ეთნიკური თეორიების საფუძვლებიდან. აღნიშნული თეორიების სინთეზი, საუკეთესოდ აღწერს სხვადასხვა ფაქტორს, რამაც შეიძლება კონფლიქტი წარმოშვას ორ ეთნიკურად განსხვავებულ ჯგუფს შორის; თუმცა, ყურადღება გამახვილებულია დაპირისპირებული ჯგუფების მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოყენებულ უკვე არსებულ ან ფორმირებულ კოლექტიურ მეხსიერებზე.

ნაშრომში გამოყენებული თვისებრივი მეთოდოლოგია და მისი ურთიერთშემავსებელი ტექნიკების ერთობლიობა ქმნის მეთოდების ტრაიანგულაციას, რითაც კვლევის ვალიდურობის სანდოობა იზრდება. გამოყენებულია შემთხვევის შესწავლისა და შედარების მეთოდები, რომლებიც საკითხის სიღრმისეულად შესწავლაში დამეხმარა და საშუალება მომცა გამომეკვეთა ის მსგავსება-განსხვავებები, რომლებიც აფხაზეთისა და მთიანი ყარაბღის კონფლიქტების ინიცირებისას/მიმდინარეობისას გამოიკვეთა. საექსპერტო წრეებთან ჩატარებული ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუებით რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი გამოვლინდა, კერძოდ, აფხაზეთის ქეისის შემთხვევაში, მეხსიერების პოლიტკა (კოლექტიური მეხსიერება) ფორმირებული იყო ზემოდან (პოლიტიკური ელიტებიდან, ინტელიგენციიდან) ქვემოთ (მასებისკენ), ხოლო ყარაბაღის შემთხვევაში, კონფლიქტის სომხეთის მხრიდან ინიცირებას, თავდაპირველ ეტაპზე, სომხეთში მეხსიერების პოლიტიკის ქვემოდან (მასებიდან, რომლებიც

საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ დაპირისპირებულ ნარატივებს სხვა აღმსარებლობისა თუ ეროვნების წარმომადგენლების მიმართ) ზემოთ (ეთნიკური და პოლიტიკური ლიდერებისკენ) მართული პროცესები უსწრებდა. არა აქვს მნიშვნელობა, როგორი სტრატეგიითაა გამოყენებული კოლექტიური მეხსიერება; კონფლიქტის ინიცირებისას ის ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტია.

საკვანძო სიტყვები: მეხსიერების პოლიტიკა, კოლექტიური მეხსიერება, პოლიტიკური ელიტები, მასები, ეთნიკური კონფლიქტი, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი.

Abstract

The thesis investigates the factor of memory politics, specically, collective memory that has an important role in initiation of the Abkhazian and Nagorno-Karabakh ethnic conflicts. The research studies and compares the events that took place in the same region (South Caucasus) almost simultaneously with mostly similar characteristics.

The research is deductive. The hypothesis is derived from the schools of the ethnic theories (primordialism, constructivism and instrumentalism) stating that collective memory is an effective instrument in hands of the political elite to initiate/prolong ethnic conflicts. The synthesis of the mentioned theories elaborates the various factors launching conflict between two ethnically distinct groups. The focus of the work is on already through centuries formed (Armenia) collective memory or historical (falsified) narratives created just before the conflict (Abkhazia, Georgia). The designed historical schemes were applied by the contested groups to achieve their own goals.

Qualitative methodology and its mixed techniques form triangulation of the methods that give reliable validity to the research. Namely, the research uses case study method and comparative case study analysis to study the issue in depth by finding the similarities and difference between cases - Abkhazian and Nagorno-Karabakh conflicts. Semi-structured interviews with the experts of the field revealed the important details, in particular, in the case of Abkhazia, memory politics (collective memory) was formed from the top (political elites, *intelligentsia*) and dissaminated to bottom (grasstoots). In the case of Nagorno-Karabakh, the initiation of the conflict by Armenia, at the initial stage, was preceded by the processes underwent in the bottom (the masses) that applied centuries-formed conflicting narratives and directed them to the top (toward the Armenian political leaders). Counting to the thesis final findings, the strategy of implication of collective memory is not very important; the main solution to initiate conflict mostly is decided by the polititcal elite.

Key Words: Memory politics, Collective memory, political elites, masses, ethnic conflict, Abkhazia, Nagorno-Karabakh.